

შპს „ოტომოტო“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2020 წლის 31 დეკემბერს

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.	31.12.2018 წ.
აქტივები			
ფული და ფულის ქვივალენტები	131714	7704	8354
სავაჭრო მოთხოვნები	852243	650981	452618
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	31500	31500	31500
მარაგები	751915	843964	790100
_ მზა პროდუქცია	675457	764853	760821
_ სხვა მარაგები	76458	79111	29279
საინვესტიციო ქონება			
გაცემული სესხები			
სხვა მიმდინარე აქტივები	11993		
სხვა არამატერიალური აქტივები	3883	4496	5107
ძირითადი საშუალებები	882637	881985	642268
სხვა გრძელვადიანი აქტივები	695598	762614	529944
სულ აქტივები	3361483	3183244	2459891
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	1623081	1915843	1316184
საგადასახადო ვალდებულებები		7669	21893
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	210000	210000	
სხვა ვალდებულებები	67571	24824	
სულ ვალდებულებები	1900652	2158336	1338077
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	374200	418200	712200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1086631	606708	409614
სარეზერვო კაპიტალი			
სულ საკუთარი კაპიტალი	1460831	1024908	1121814
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3361483	3183244	2459891

დირექტორი:

გ. ლობჯანიძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2020 წ.	2019 წ.
ნეტო ამონაგები	5410114	5062477
საქონლის გაყიდვიდან	5363546	5026354
მომსახურების გაწევიდან	46568	36123
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4650573	-4496890
საერთო მოგება	759541	565587
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-225901	-240655
ცვეთა და ამორტიზაცია	-38705	-28539
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	-42115	-21403
იჯარის ხარჯი	-9856	-10751
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-47985	-66562
სულ საოპერაციო ხარჯები	-364562	-367910
საოპერაციო მოგება	394979	197677
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-202	227
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	87435	1
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	482212	197905
მოგების გადასახადი	-343	-120
მოგება/(ზარალი)	481869	197785
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	481869	197785
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1024908	1121814
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-1946	-691
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-44000	-294000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1460831	1024908

დირექტორი:



გ. ლობჯანიძე

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2020 წ.	2019 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	174916	595931
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-18116	-512824
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-32590	-84000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	124210	-893
სავალუტო კურსის ეფექტი	-200	243
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7704	8354
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	131714	7704

დირექტორი:



გ. ლობჯანიძე

1. კომპანიის შესახებ

შპს „ოტომოტო“, ს/ნ 412706166, (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) დაარსდა 2015 წლის 27 თებერვალს, მდებარეობს საქართველოში და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელები და პარტნიორები არიან:

დირექტორი: გიორგი ლომაჯანიძე - პ/ნ 60002018529

პარტნიორი: იური აბულაძე - პ/ნ 60002001082

ძირითადი და დამატებითი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საავტომობილო ზეთებით და აკუმულატორებით ვაჭრობა ადგილობრივ ბაზარზე. ასევე, კომპანიის დამატებით საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ან მოძრავი ქონების იჯარით გაცემა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. საქართველო, ქ. ქუთაისი, მ. ბროსეს ქუჩა #5ბ 9. კომპანიის საქმიანობის ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია აკუმულირებული ამორტიზაციის გამოკლებით.

მცირე საექსპლუატაციო რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების, ძირითადი ნაწილების გაუმჯობესების ღირებულება კაპიტალიზდება.

ცვეთა. მიწას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო საქონელს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

სესხები. სესხები აღირიცხება თვითღირებულებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საქონლის რეალიზაცია:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება.

პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები. ხელფასები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

კომპანიის ფული ბანკში განთავსებულია სს „საქართველოს ბანკი“-ს საბანკო ანგარიშებზე.